



# საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამუნიციპალიტეტური ეროვნული კომისია

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №34/3

2019 წლის 30 აპრილი

ქ. თბილისი

შპს „მარნეულის სოფწყლის“ წყალმომარაგების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5, 24-ე, 25-ე და 26-ე მუხლების, „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და მე-13 მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე, მე-100, 103-ე, 115-ე, 116-ე, 118-ე და 177-ე მუხლების თანახმად, კომისიამ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. „შპს „მარნეულის სოფწყლის“ წყალმომარაგების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.
2. „შპს „მარნეულის სოფწყლის“ წყალმომარაგების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 1 ივნისი.
3. „შპს „მარნეულის სოფწყლის“ წყალმომარაგების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესახებ მოსაზრებების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 20 მაისი.
4. დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს გადაწყვეტილების პროექტისა და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ცნობის საჯაროდ გამოქვეყნება.

5. დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს, უზრუნველყოს საჯარო გაცნობისთვის წარდგენილი ინფორმაციის დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობა.
6. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
7. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს.
8. გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცალკე არ საჩივრდება.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე



მაია მელიქიძე

კომისიის წევრი




გოჩა შონია

კომისიის წევრი



გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი



დავით ნარმანია

კომისიის წევრი

